სამაგისტრო პროგრამის დასახელება: რუსეთისმცოდნეობა / Russian Studies

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: რუსეთისმცოდნეობის მაგისტრი / MA in Russian Studies

სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი: მოწვეული პროფესორი დალი კანდელაკი.

სამაგისტრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:

ა) მიზანი - საქართველოში, კერძოდ კი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამგვარ სამაგისტრო პროგრამას დღემდე არ მოეძებნება ანალოგი. დარგის სინთეზურად სწავლება ან კვლევა სადღეისოდ უნივერსიტეტში არ ხდება. სწორედ ამ ხარვეზის შევსებას ისახავს მიზნად ჩვენს მიერ შემოთავაზებული სამაგისტრო პროგრამა.

სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის გაგრძელებას შეძლებენ ისეთი სტუდენტები, რომლებმაც ერთი რომელიმე დარგის მიმართულებით მიიღეს განათლება, ამიტომ სწავლება მაგისტრატურაში უნდა წარიმართოს მულტიდისციპლინურიდან ინტერდისციპლინური პროგრამის მიმართულებით - დისციპლინების პარალელური სწავლების გზით; შესწავლილი დისციპლინები შეავსებს ერთმანეთს შესაბამის პედაგოგიურ და მეთოდოლოგიურ გარემოში.

პროგრამის მიზანია კვალიფიციური მკვლევარების მომზადება რუსეთისმცოდნეობაში; საზოგადოებისთვის კონკურენტუნარიანი, სათანადო ცოდნითა და დამოუკიდებელი კვლევის უნარ-ჩვევებით აღჭურვილი ისეთი კადრის მომზადება, რომელიც შესძლებს რუსეთის ისტორიის, პოლიტიკის, ეკონომიკის, სამართლის, კულტურის და საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებზე მუშაობას.

სასწავლო პროგრამა საინტერესო და სასარგებლო უნდა იყოს მაგისტრანტებისათვის მათი სამომავლო კარიერისა და ინტელექტუალური ზრდის თვალსაზრისით, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ მოღვაწეობას საერთაშორისო სამართლისა და სოციალური მეცნიერებების სფეროში, დიპლომატიურ ასპარეზზე, განაგრძობენ. მაგისტრანტს უნდა ჩამოვუყალიბოთ ობიექტური, ჭეშმარიტად მეცნიერული და არა კონიუქტურული შეხედულება რუსეთზე, განსაკუთრებით, მეზობელ სახელმწიფოებთან მიმართებაში.

ბ) სწავლის შედეგები: რუსეთისმცოდნეობის მაგისტრს შეეძლება:

- მუშაობა საკითხებზე, რომლებიც ეხება რუსეთის ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სამართლებრივ სტრუქტურებსა და ინსტიტუტებს;
- რუსეთთან დაკავშირებული ზოგადი საკითხების ინტეპრეტირება ეროვნულ, რეგიონალურ და ადგილობრივ კონტექსტში;
- ინტერდისციპლინურ საკითხებზე მუშაობა;
- დარგის მულტიდისციპლინურობისა და დისციპლინებს შორის კავშირების აღქმა;
- რუსეთის პოლიტიკის კრიტიკული ანალიზი და ინტერპრეტირება;
- სხვადასხვა დისციპლინების მეთოდოლოგიის ინტეგრირებულად გამოყენება;
- კომპეტენციის ფარგლებში განახორციელოს კვლევა სამეცნიერო ხელმძღვანელის დახმარებით, იმუშაოს აგრეთვე დამოუკიდებლად;
- კომუნიკაცია ქართულ, რუსულ და უცხოურ ენებზე შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენებით;
- კომპიუტერული და ინტერნეტ-რესურსების ფლობა მონაცემების დამუშავებისას.

გ) დასაქმების სფერო:

- საჯარო სექტორი და სამთავრობო ინსტიტუტები;
- არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები;
- პოლიტიკური ორგანიზაციები;

- კერძო სექტორი და ბიზნესსტრუქტურები;
- საკონსულტაციო და საექსპერტო დაწესებულებები;
- მედია და საინფორმაციო ცენტრები.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

- ნებისმიერი სპეციალობის (სასურველია, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, სოციალურ-პოლიტიკური მეცნიერებათა, სამართალმცოდნეობისა და ეკონომიკის) ბაკალავრის ხარისხი;
- სამაგისტრო პროგრამაზე დაშვება შესაძლებელია მხოლოდ ერთიანი სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში.

სწავლის გაგრძელების საშუალება: დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელება საქართველოსა თუ უცხოეთში რუსეთისმცოდნეობის ან კონკრეტული (ისტორია, ეკონომიკა, საერთაშორისო ურთიერთობები, პოლიტიკის მეცნიერებები) მიმართულებით.

ფორმა 1

სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა

№	სასწავლო კურსის დასახელება	სასწავლო კურსის სტატუსი: სავალდებულო, არჩევითი	კრედიტების საერთო რაოდენობა
	რუსეთის ისტორია და კულტურა მსოფლიო ცივილიზაციათა კონტექსტში	სავალდებულო	10
	რუსეთი და კავკასია	სავალდებულო	10
	ენა და მეცნიერული კვლევის კულტურა	სავალდებულო	5
	რუსეთის სამართალის, სამართლებრივი აზრის ისტორია და თანამედროვე საკონსტიტუციო სამართალი	სავალდებულო	10
	რუსული გეოპოლიტიკური აზროვნება: წარსული და თანამედროვეობა	სავალდებულო	5
	რუსეთი - განვითარების გეოგრაფია	სავალდებულო	5
	რუსეთის განვითარების ეკონომიკური პოლიტიკა	სავალდებულო	5
	რუსეთის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები	სავალდებულო	5
	რუსეთის ეკლესიის ისტორია	არჩევითი	5
	რუსეთის ევროპული პოლიტიკა	არჩევითი	5
	რუსეთისა და კავკასიის ქვეყნების ურთიერთობის საკითხები ევროპულ წყაროებში	არჩევითი	5
	რუსეთის ცივილიზაციური კუთვნილების პრობლემა	არჩევითი	5
	რუსული სახვითი ხელოვნება და საქართველო	არჩევითი	5

	რუსული ფილოსოფია	არჩევითი	5
	კომუნიკაცია რუსულ ენაზე ინტერკულტურულ გარემოში	არჩევითი	5
	"ქართული" თემის ტრანსფორმაცია რუსულ ლიტერატურასა და კულტურაში	არჩევითი	5
	რუსული ენა	არჩევითი	5
	ისტორიული დოკუმენტების ფილოლოგიური ანალიზი	არჩევითი	5
	რუსეთის პოლიტიკა: პოსტსაბჭოთა პერიოდი	არჩევითი	5
	საბჭოთა კავშირი: სახელმწიფო და იდეოლოგია	არჩევითი	5
	გლობალიზაცია და რუსეთის ნაციონალური ეკონომიკური პოლიტიკა	არჩევითი	5
	რუსეთის ეკონომიკა	არჩევითი	5
	რუსეთის ბიზნესგარემო	არჩევითი	5
	სამაგისტრო ნაშრომი		30
	სულ		**120**

საგამოცდო ბილეთის სტრუქტურა და შეფასება ქულებში

კონკურსანტებს სპეციალობის გამოცდაზე ვთავაზობთ როგორც კონკრეტულ საკითხებს (სამი კონკრეტული საკითხი - თითოეული 25 ქულა, ჯამში 75 ქულა), ასევე ზოგად კითხვარს (5 კითხვა - თითოეული 5 ქულა), რომლითაც შემოწმდება
მათი აზროვნებისა და თანამედროვე მოვლენებში (რუსეთთან მიმართებაში) წვდომის უნარი. გამოცდის მაქსიმალური ქულაა 100.

საგამოცდო საკითხები

რუსეთის ისტორია

ა) რუსეთი და პოსტსაბჭოთა სივრცე;
ბ) რუსეთის გეოპოლიტიკა XXI საუკუნეში;
გ) გლობალური ეკონომიკა და რუსეთ
ე) პოლიტიკური პარტიები და პარტიული სისტემა რუსეთში;
ვ) რუსეთის ეკლესია 1905-1918 წლებში;
ზ) საბჭოთა კავშირის დაშლა და თანამედროვე რუსეთი (1985-2005 წწ.);
თ) რფ-ის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობა.

ლიტერატურა:

1. И.Панарин. Информационная война и геополитика. М., 2006.
2. И. П. Фаминский. Глобализация экономики и внешнеэкономические связи России. М., 2004.
3. Заславский С.Е. Политические партии России. Проблемы правовой институционазизации. М., 2003.
4. Поспеловский Д.В. Русская Православная Церковь в XX веке. М.: Республика,1995.
5. Байбаков Н.К. От Сталина да Ельцина. М. 1998.
6. А. И. Коваленко, Конституционное право России. Учебник. М. Право и Закон. 1997.

7. საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი, კრებული I, ავტორთა კოლექტივის ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი რედაქტორი იმდ. პროფ. ო. მელქაძე. თბილისი, 1997.
8. მ.ვაჩნაძე, ვ. გურული, რუსეთის ისტორია, XX საუკუნე, თბილისი, 2005.
9. მ.ვაჩნაძე, ვ. გურული, რუსეთის ეკლესიის ისტორია, სალექციო კურსი, ნაწ.III (1901-2001 წწ.), ნაკ. I, (1901-1945წწ.), თბილისი, 2008.

კონსულტაციისათვის შეგიძლიათ მიმართოთ პროგრამის ხელმძღვანელს პროფესორ დალი კანდელაკს ტელ: 77-14-55 (ბინა), 22-54-50 (სამსახური), ელ-ფოსტა: dalikandelaki@rambler.ru